

EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ივლისი - სექტემბერი 2023

ცვლილებები შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში

2023 წლის 1 სექტემბერს ცვლილებები სრულად ამოქმედდა შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში.

- ▶ საშუამავლო კომპანია, რომელიც საქართველოს მოქალაქეებსა და რეზიდენტებს უცხოეთში ასაქმებს, ვალდებულია, აღნიშნული საქმიანობა დაარეგისტრიროს და მიიღოს სერტიფიკატი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრისგან.
- ▶ ცვლილებებით გაფართოვდა ადგილობრივ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებული ხელშეკრულების აუცილებელი პირობები.
- ▶ აუცილებელია შრომითი ხელშეკრულება შეიცავდეს შრომის კოდექსით განსაზღვრულ არსებით პირობებს.
- ▶ ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებული დაარეგისტრიროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს („სამინისტრო“) მონაცემთა ერთიან ბაზაში.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 02/06/2023.

შრომითი მიგრაციის შესახებ ანგარიშის წარდგენა

2023 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა სერტიფიცირებული საშუამავლო კომპანიის („კომპანიის“) მიერ შრომითი მიგრაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი.

- ▶ ანგარიში წარედგინება სამინისტროს.
- ▶ კომპანიის მიერ ანგარიშის წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით, სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში.
- ▶ ანგარიშის წარუდგენლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 09/08/2023.

კანონპროექტი სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონში ცვლილების შეტანაზე

2023 წლის 5 ივლისს გამოქვეყნდა კანონპროექტი სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

- ▶ კანონპროექტი ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ჩატარების პროცედურის გამარტივებასა და ვადის ორი თვიდან ერთ თვემდე შემცირებას.
- ▶ კანონპროექტით სასაქონლო ნიშნის გრაფიკულად გამოსახვა აღარ იქნება სავალდებულო, ხოლო ცალკე აღებული ფერის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია შესაძლებელი გახდება.
- ▶ კანონპროექტი მიზნად ისახავს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების ცალსახად და მკაფიოდ გაწერას, მათ შორის ისეთი ნიშნებისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და მორალის აღიარებულ პრინციპებს.
- ▶ დამტკიცების შემთხვევაში, კანონი სრულ ძალაში შევა გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი](#). 05/07/2023.

მიკრობანკების კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებული აქტები

2023 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება.

- ▶ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული იურიდიული პირის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობად განისაზღვრა 10 (ათი) მილიონი ლარი.
- ▶ დადგინდა მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მიკრობანკების გაკოტრების რისკების შემცირებას და მთლიანი საბანკო სექტორის ფინანსურ სტაბილურობას.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 21/06/2023.

[საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 22/06/2023.

მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსი და ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება

2023 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსი („კოდექსი“) და მიკრობანკებისთვის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება.

- ▶ კოდექსი განსაზღვრავს მიკრობანკებისათვის კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებს.
- ▶ კოდექსის მიზანია მიკრობანკების მიერ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანსაქციებზე ადეკვატური ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა.
- ▶ მიკრობანკებმა დაკავშირებულ მხარეებთან ტრანსაქციები უნდა აწარმოონ გაშლილი მკლავის პრინციპით - მონიტორინგი გაუწიონ ტრანსაქციებს და მიიღონ სათანადო ზომები რისკების კონტროლისა და შემცირებისთვის.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 22/06/2023.

[საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 22/06/2023.

მიკრობანკების ლიცენზირებისა და ფულადი ჯარიმების დაკისრების წესი

2023 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა მიკრობანკების ლიცენზირების, ასევე მიკრობანკებისა და მათი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესი.

- ▶ განისაზღვრა ეროვნული ბანკის მიერ უცხოური სანდო ბანკის შვილობილ კომპანიაზე, უცხოური კომერციული ბანკის/მიკრობანკის ფილიალსა და შვილობილ მიკრობანკზე, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესი.

- ▶ დადგინდა ფულადი ჯარიმები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებების შეუსრულებლობისთვის, 5,000-20,000 ლარის ფარგლებში, კონკრეტული დარღვევის შესაბამისად.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 21/06/2023.
[საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 22/06/2023.

კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

2023 წლის 27 სექტემბერს გამოქვეყნდა კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ, რაც ითვალისწინებს სადაზღვევო ორგანიზაციების მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხებს.

- ▶ სადაზღვევო ორგანიზაციები 2024 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით დაბეგვრის ახლებურ (ესტონურ) მოდელზე გადადიან.
- ▶ ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, 2015-2024 წლებში გამომუშავებული მოგების განაწილებისას სადაზღვევო ორგანიზაციებს ექნებათ უფლება, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, კანონპროექტით განსაზღვრული ფორმულის გამოყენებით.
- ▶ დამტკიცების შემთხვევაში, კანონი ეტაპობრივად ამოქმედდება და სრულად ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი](#). 27/09/2023.

კანონპროექტი ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ ცვლილებების შეტანის შესახებ

2023 წლის 30 აგვისტოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი გამოქვეყნდა.

- ▶ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ფიზიკური პირებისთვის შეიცვლება როგორც ქონების გადასახადის განაკვეთები, ისე ერთობლივ შემოსავალთან დაკავშირებულ მოთხოვნები.
- ▶ ქონების გადასახადის დაბეგვრისაგან გათავისუფლება ქონება (გარდა მიწისა), თუ ფიზიკური პირის ოჯახის მიერ გასული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 60,000 ლარს, 40,000 ლარის ნაცვლად.
- ▶ კანონპროექტის მიხედვით, ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის დიაპაზონი და გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული მოთხოვნები ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი	გადასახადის განაკვეთი (დიაპაზონი) დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების:
60,000 ლარზე ნაკლები	0%
60,000 ლარიდან 150,000 ლარამდე	0.05% - 0.1%
150,000 ლარიდან 500,000 ლარამდე	0.4% - 0.6%
500,000 ლარზე მეტი	0.8% - 1%

- ▶ დამტკიცების შემთხვევაში, კანონპროექტი ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი](#). 30/08/2023.

გადამხდელთა მიერ ურთიერთშეთანხმების პროცედურით სარგებლობის წესი

2023 წლის 6 ივლისს გამოქვეყნდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი.

- ▶ თუ გადასახადის გადამხდელი თვლის, რომ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე ერთი ან ორივე სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს ქმედებამ მისი შეუსაბამოდ დაბეგვრა გამოიწვია ან გამოიწვევს, მას

შეუძლია მიმართოს შემოსავლების სამსახურსა და ფინანსთა სამინისტროს, ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასაწყებად.

- ▶ პროცედურა ვრცელდება ისეთ საკითხებზე, როგორც არის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები, მუდმივი დაწესებულება, გადასახადის გადამხდელის ორმაგი რეზიდენტობა, გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავება და საერთაშორისო შეთანხმების დებულების არასწორად ან ბოროტად გამოყენება.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 06/07/2023.

საკონტაქტო ინფორმაცია:



ტატო ჩანტლაძე

პარტნიორი | საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: +995 (32) 215-88-11

Tato.Chantladze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდლობის კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2023 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

<http://www.ey.com/georgia>